Brot für die Welt

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში

მაისი 2024-ივლისი 2024
III გამოშვება

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება
დემოკრატიის განვითარებისთვის საქართველოში

Strong and resilient civil society
serving to democratic development in Georgia

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში

მაისი 2024-ივლისი 2024
III გამოშვება

ავტორი: ზურაბ მენაღარიშვილი
სამუშაო ჯგუფი:
ვაჟა სალამაძე, ია გაბუნია, ლევან ფანიაშვილი, ნინა ფიჩხაია, ლალი შალვაშვილი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

Brot für die Welt

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიის განვითარებისთვის საქართველოში

ეს დოკუმენტი შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და შესაძლოა არ გამოხატავდეს ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW)-ის შეხედულებებს.

თბილისი 2024 © CSI

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში

მაისი 2024-ივლისი 2024

III გამოშვება

სარჩევი

მოკლე შეჯამება 1

მეთოდოლოგია 2

რუსული კანონის მიღება 4

ძალის გადამეტება და არასათანადო მოპყრობა 5

ძალადობისა და მუქარის კამპანია კანონის მიღების პარალელურად 7

„მონაცემთა ბაზა“ - გამოხატვის უფლების შეზღუდვის მცდელობა 8

რუსული კანონის საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება 9

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესაძლო დატოვება 12

სანქციების მოლოდინი და ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერება 13

რეგისტრაციის ვალდებულება - რას გეგმავს სექტორი 14

საკონსტუტიციო დავები 16

საპარლამენტო არჩევნები და პოლიტიკური პოლარიზაცია 18

სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები 19

მოკლე შეჯამება

ქვეყანაში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის, იგივე „რუსული კანონის“ საბოლოოდ მიღებამ მნიშვნელოვნად დააზიანა სამოქალაქო სივრცე და შეზღუდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემო. კანონი დამაზიანებელი აღმოჩნდა არამხოლოდ მასში გათვალისწინებული იმ ვალდებულებების გამო, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დისკრედიტაციისა და სტიგმატიზაციისკენაა მიმართული, არამედ იმ პროცესის გამოც, რომელშიც საბოლოოდ ეს კანონი შემუშავდა და დამტკიცდა.

კანონის მიღების პარალელურად, ქვეყანაში გაძლიერდა სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული მტრული რიტორიკა, რომლის თანახმადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არა საკუთარი ქვეყნის, არამედ უცხოეთის ინტერესების გამტარებელნი არიან. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა მუქარის, შეურაცხყოფისა და ფიზიკური ძალადობის წინასწარ ორგანიზებული არაერთი ფაქტი, რომელთა მნიშვნელოვან შემთხვევაშიც, გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა ხელშესახები შედეგით. აღსანიშნავია, ისიც, რომ კანონის მიღების საწინააღმდეგო აქციებზე პოლიციისა და სპეციალური დანიშნულების რაზმების მხრიდან დაფიქსირდა ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის არაერთი ფაქტი, რაც მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაზიანებით დასრულდა.

საგულისხმოა ისიც, რომ კანონის მიღებითა და თანმხლები პროცესებით, თითქმის სრულად განადგურდა სივრცე სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობისთვის.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აღსანიშნავია, საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა თუ მმართველი პარტიის წევრების კრიტიკული განცხადებები დასავლეთის სახელმწიფოებისა თუ სტრუქტურების წარმომადგენელთა წინააღმდეგ. მიუხედავად არაერთი შიდა თუ საერთაშორისო მოწოდებისა, რომ საქართველოს პარლამენტს გაეუქმებინა აღნიშნული კანონი, რადგან, ამ შეფასებებით, კანონი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და ქართველი ხალხის არჩევანს, იგი მაინც ამოქმედდა. კანონის ამოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად დააზიანა საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მოახლოებული არჩევნების პარალელურად ნარჩუნდება პოლიტიკური პოლარიზაციისა და მტრული რიტორიკის გამოყენების მაღალი ხარისხი, რაც ასევე ნეგატიურად აისახება სამოქალაქო სივრცეზე.

საბოლოოდ, „რუსული კანონის“ მიღებითა და ამოქმედებით, ასევე თანმდევი პროცესებითა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შეჩერებით მნიშვნელოვნად შეფერხდა და მომავალშიც შეფერხდება სამოქალაქო სივრცისა თუ ამ სივრცის ცალკეული აქტორების მუშაობა, მათ შორის ამ ორგანიზაციების მხრიდან ადვოკატირების კამპანიების განხორციელებისა თუ მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა. გარდა რეპუტაციული ზიანის მიყენების მცდელობისა, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობაც. შექმნილი რეალობა პრაქტიკულად არ ტოვებს სივრცეს სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობისთვისაც.

მეთოდოლოგია

„სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა“ არის არსებული მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგისა და ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც ქვეყანაში არსებულ დე-იურე რეალობასთან ერთად, ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმდინარე ტენდენციებზე, ოფიციალური პირებისგან მომდინარე რიტორიკისა და სამომავლოდ მოსალოდნელ გამოწვევებზე. მიმოხილვას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)

გერმანული ფონდის „პური მსოფლიოსთვის“ მხარდაჭერით, პროექტის, „ძლიერი და მედეგი სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში დემოკრატიული განვითარებისთვის“ ფარგლებში.

მიმოხილვის საანგარიშო პერიოდი, როგორც წესი, მოიცავს სამთვიან პერიოდს და აანალიზებს ამ დროის განმავლობაში მომხდარ და მიმდინარე ფაქტებსა და ტენდენციებს შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- სამოქალაქო სივრცისა თუ ამ სივრცის ცალკეული აქტორების მუშაობის შეფერხება და საქმიანობაში ხელშეშლა;
- მტრული რიტორიკა და დისკრედიტაციის კამპანიები;
- ფინანსური სტაბილურობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
- სივრცე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისთვის;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან ადვოკატირებისა და მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა.

გარდა აღნიშნული მიმართულებებისა, ასევე შესაძლებელია, რომ მიმოხილვა მოიცავდეს სხვა იმ დროისთვის აქტუალურ საკითხს, რომლის გაერთიანებაც წინასწარ განსაზღვრულ მიმართულებებში შეუძლებელია.

მიმოხილვა გულისხმობს თითოეული მნიშვნელოვანი საკითხისა და მოვლენის ირგვლივ მონიტორინგსა და სიღრმისეულ თვისებრივ ანალიზს. გამომდინარე აქედან, იგი ატარებს როგორც დესკრიფციულ, ასევე ამხსნელობით ხასიათს.

მიმოხილვის მომზადებისას დაკვირვების საგანს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა და ნაგულისხმევია ისეთი ცვლადებისა და ინდიკატორების ანალიზი, როგორიცაა სახელმწიფოს მხრიდან დამკვიდრებული ემპირიული პრაქტიკები, რომლებიც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოზე, საკანონმდებლო ინიციატივები და იურიდიული ძალის მქონე სხვა დოკუმენტები, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებისა და მმართველი პარტი(ებ)ის წარმომადგენლების საჯარო განცხადებები და შეფასებები და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია.

მონიტორინგის პროცესის განმავლობაში პროექტის გუნდი ასევე აანალიზებს მეორეულ წყაროებს, მათ შორის ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კვლევებს, ანგარიშებსა და შეფასებებს.

მონაცემთა შეგროვებისას, კონკრეტული საკითხის მნიშვნელობიდან და სენსიტიურობიდან გამომდინარე შესაძლებელია დამატებითი კვლევის წარმოება თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, მათ შორის კონკრეტულ მიზნობრივ შერჩევასთან სიღრმისეული ინტერვიუებისა და რამდენიმე ფოკუს-ჯგუფების ჩატარების გზით. აღნიშნული გამოცემის მომზადებისას, ჩატარდა და გაანალიზდა დამატებით სამი სიღრმისეული ინტერვიუ.

მიმოხილვა გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე და გათვლილია ადგილობრივ და საერთაშორისო აუდიტორიაზე. დოკუმენტი ვრცელდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ყველა საკომუნიკაციო არხით, მათ შორის CSOGeorgia.org-ის გამოყენებით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

რუსული კანონის მიღება

მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე, 14 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა „რუსული კანონის" სახელით ცნობილ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონს[1][2]. კანონპროექტის სასარგებლოდ ხმა 84-მა დეპუტატმა მისცა, ხოლო წინააღმდეგი საპარლამენტო ოპოზიციის 30 წევრი აღმოჩნდა.

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ კანონპროექტის მიღებას ქვეყანაში წინ უძღოდა მასობრივი საპროტესტო აქციები, ხოლო საქართველოს უცხოელი პარტნიორებიდან მხრიდან მოწოდებები, რომ მმართველ გუნდს არ მიეღო მსგავსი გადაწყვეტილება, რადგან ეს, მათ შორის, ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის არჩევანსა და წარმოადგენდა დაბრკოლებას საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე. 13 მაისს, საქართველოში ვიზიტით მყოფმა გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხაილ როთმა ქვეყნის ევროინტეგრაციაზე საუბრისას განაცხადა, რომ იგი „ვერ ხედავდა საქართველოს ნათელი მომავლის შანსს, თუ ხელისუფლება ამ კანონს უკან არ გაიწვევდა"[3]. მანამდე, 12 მაისს კანონ-პროექტის გაწვევა ერთობლივი განცხადებით კიდევ ერთხელ მოითხოვა 120-ზე მეტმა ქართულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამაც[4].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ კანონის მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე, 10 მაისს განაცხადა, რომ მან უცხოელ პარტნიორებს აცნობა, რომ „ვეტოს პროცედურების ფარგლებში შესაძლებელი იყო პოზიციების შეჯერება."[5] მოგვიანებით, 12 მაისს გაკეთებულ განცხადებაში მან დააკონკრეტა, რომ კომუნიკაცია ამ საკითხზე ევროკავშირისა და ეუთოს წარმომადგენლებთან ჰქონდა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტს წარსულშიც „ენჯეოები ან გარედან უწერდნენ ხოლმე ვეტოებს"[6]. საპასუხოდ 12 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ იგი „წარმოადგენს ვეტოს, მაგრამ არცერთ მანიპულაციაში არ შევიდოდა, რადგან ამას მხოლოდ ხალხში

---

[1] Civil Georgia. 2024 „პროტესტის ფონზე, პარლამენტმა „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო" ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/606456

[2] საქართველოს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0

[3] Civil Georgia. 2024. „ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები საქართველოს სტუმრობენ". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/606202

[4] csf.ge. 2024 „რუსულ კანონი უპირობოდ უნდა იქნას გაწვეული" ხელმისაწვდომია ბმულზე: https://csf.ge/rusul-kanoni-upirobod-unda-iqnas-gawveuli/

[5] საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „ირაკლი კობახიძე - მე განვუმარტე ჩვენ პარტნიორებს, რომ ვეტოს პროცედურის ფარგლებში შესაძლებელია, შეჯერდეს პოზიციები". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/96ePR

[6] საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. ირაკლი კობახიძის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/mGSlJ

გაუგებრობის შემოტანის მიზანი ექნებოდა“ მისივე განცხადებით, თუ მმართველ გუნდს სურდა კანონის შეცვლა, ეს თავადვე უნდა გაეკეთებინა[7].

საბოლოოდ, კანონის მესამე მოსმენით მხარდაჭერიდან მალევე, 18 მაისს პრეზიდენტმა „რუსულ კანონს ე.წ. ვეტო დაადო, რაც პარლამენტისთვის კანონზე მოტივირებული შენიშვნების გაგზავნას გულისხმობს. პრეზიდენტმა პარლამენტს კანონი უცვლელად დაუბრუნა და დაამატა მხოლოდ ერთი მუხლი, რომელშიც წერია, რომ „კანონი ამოქმედებიდან მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში იმოქმედებდა“[8], თუმცა ასევე დაურთო შენიშვნებიც, რომელთა თანახმადაც, კანონი არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე (გაერთიანების თავისუფლება), მე-15 (პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცის და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები), მე-11 (თანასწორობის უფლება) და 78-ე (ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია) მუხლებს.

მიუხედავად არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი მოწოდებისა, რომ პარლამენტს არ დაეძლია პრეზიდენტის ვეტო, მმართველმა გუნდმა აღნიშნულ საკითხს 28 მაისს კენჭი მაინც უყარა და საბოლოოდ კანონის სამი მოსმენით მიღებული ვერსია დაამტკიცა [9]. პარლამენტმა ჯერ 66 ხმით გადალახა პრეზიდენტის ვეტო, აღნიშნული პროცედურის შემდგომ კი, კენჭი სამი მოსმენით მიღებულ ვერსიას უყარეს, სადაც მომხრე 84 დეპუტატი აღმოჩნდა. საბოლოოდ კანონი პარლამენტის თავმჯდომარის ხელმოწერით გამოქვეყნდა[10], რადგან მას პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა. ამის შემდეგ კანონი ოფიციალურად ამოქმედდა.

ძალის გადამეტება და არასათანადო მოპყრობა

რუსული კანონის განხილვას, კენჭისყრასა და საბოლოოდ მიღებას თან ახლდა მრავალათასიანი საპროტესტო აქციები თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, რა დროსაც, საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დამოუკიდებელი შეფასებით, ადგილი ჰქონდა პოლიციისა და საგამოძიებო უწყებების მხრიდან ფიზიკური ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს.

ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების ნაწილის თანახმად, საპროტესტო აქციებისას დაკავებულ პირთა უმრავლესობა მიუთითებდა დაკავების დროს

---

[7] საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024 სალომე ზურაბიშვილი - ვეტოს წარმოვადგენ, მაგრამ არცერთ მანიპულაციაში არ შევალ და არ დავიწყებ თამაშებს, რადგან ამას მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს, ხალხში გაუგებრობა შემოიტანოს. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/Eu5pJ

[8] რადიო თავისუფლება. 2024. „კანონის გაუქმება არის უალტერნატივო“ - კიდევ რას ამბობს პრეზიდენტის ვეტო? ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/32953743.html

[9] Publica. 2024 „პარლამენტმა ვეტო დაძლია და რუსული კანონი საბოლოოდ მიიღო“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://publika.ge/parlamentma-veto-dadzlia-da/

[10] საქართველოს პარლამენტი. 2024. შალვა პაპუაშვილი: დღეს ხელი მოვაწერე კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ", რომლის მთავარი მიზანი გარე ჩარევების მიმართ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მედეგობის განმტკიცებაა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/dAoXt

სამართალდამცავების მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე[11]. ორგანიზაციების თანახმად, დაკავებულთა უმეტესობას აღენიშნებოდა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები, რომლებიც, მათივე განმარტებით, სამართალდამცავებმა მიაყენეს დაკავების დროს.

გარდა ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასევე მიუთითებდნენ ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა:

- აქციების დროს დაკავებულების ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის დროულად მიღების პრობლემა, რა დროსაც დაკავებულების უმეტესობას არც ოჯახის წევრებთან და არც ადვოკატებთან სათანადო კომუნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონდა;
- (ადმინისტრაციული წესით) დაკავების ვადის დაუსაბუთებელი გახანგრძლივება;
- საქმეების განხილვა სასამართლოში და განსაკუთრებით მკაცრი სანქციები;

ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების დროს საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, იკვეთება პოლიტიკური, საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით ადამიანთა დევნის ნიშნები[12].

განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიტიკოსების, ლევან ხაბეიშვილისა[13] და ალეკო ელისაშვილის[14], ასევე ანტი-საოკუპაციო მოძრაობის ლიდერის, დავით ქაცარავასა[15] და სხვების საქმეები, რომელთაც დაკავებისას მიიღეს ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებულად მძიმე დაზიანებები, რა დროსაც, საჭირო გახდა გადაუდებელი სამედიცინო ჩარევა. აღნიშნულ და სხვა საქმეებზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით არავინ დაუკავებიათ[16].

---

[11] GYLA.GE. 2024 „ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ვაგრძელებთ მშვიდობიან აქციებზე დაკავებულების უფლებების დაცვას“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://gyla.ge/ge/post/qartuli-arasamtavrobo-organizaciebi-vagrdzelebt-mshvidobian-aqciebze-dakavebulebis-uflebebis-dacvas#sthash.OIrUvVl1.dpbs

[12] Ombudsman.Ge “სახალხო დამცველი საგამოძიებო უწყებებს ბოლო დროს განხორციელებული სავარაუდო ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სამართლებრივი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს”ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/Nt7Eg

[13]რადიო თავისუფლება. 2024. ლევან ხაბეიშვილს სასტიკად სცემეს ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/8W2ks

[14]რადიო თავისუფლება. 2024. „სპეცრაზმმა ალეკო ელისაშვილს სცემა“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/32928236.html

[15]ინტერპრესნიუსი. დავით ქაცარავა სპეცრაზმელების მიერ მისი ცემის დეტალებზე საუბრობს .ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.interpressnews.ge/ka/article/800210-davit-kacarava-specrazmelebis-mier-misi-cemis-detalebze-saubrobs/

[16] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/Ui60Y

ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის თანახმად, ხელისუფლებას დემონსტრანტების წინააღმდეგ აუცილებლად უნდა შეეწყვიტა უკანონო ძალის გამოყენება, რადგან ეს ეწინააღმდეგება მშვიდობიანი შეკრების უფლებას[17].

ძალადობისა და მუქარის კამპანია კანონის მიღების პარალელურად

რუსული კანონის მიღების პარალელურად, გააქტიურდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული მუქარისა და ძალადობის კამპანია.

მაისის თვეში ათასობით მოქალაქემ, რომლებიც ჩართულნი იყვნენ კანონის მიღების საწინააღმდეგო აქციებში, მიიღეს სატელეფონო ზარები, რომლებიც თითქოს უცხოეთის ქვეყნებიდან ან უცხოეთში რეგისტრირებული ნომრებიდან ხორციელდებოდა, რა დროსაც მათ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის დაემუქრნენ[18]. მუქარის შემცველი ზარები მიიღეს სამოქალაქო აქტივისტებმა, საზოგადოებისთვის ცნობილმა ვლოგერებმა, ჟურნალისტებმა, რიგითმა მოქალაქეებმა და მათი ოჯახის წევრებმა. რიგ შემთხვევებში ზარები განხორციელდა აქციებში ჩართული მოქალაქეების მცირეწლოვან შვილებთანაც კი[19]. გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი ფაქტის“ თანახმად, ზარები რეალურად უცხოეთიდან არ განხორციელებულა, არამედ ეს იყო „თაღლითური მეთოდი“, რომელიც CLI spoofing-ის სახელითაა ცნობილი, რა დროსაც განზრახ ყალბდება ის ინფორმაცია, რასაც ადრესატი საკუთარი მოწყობილობის ეკრანზე ხედავს[20].

ამგვარი ზარების განხორციელება, გარდა იმისა, რომ შეიცავს აშკარა დანაშაულის ნიშნებს, როგორებიცაა მუქარა და შეურაცხყოფა, ასევე აღძრავს საფუძვლიან ეჭვებს პირადი მონაცემების უკანონოდ მოპოვებისა და გამოყენების და ამაში სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეობის შესახებ. პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურმა საქმე პროკურატურაში გადააგზავნა[21], თუმცა ამ დროისთვის დანაშაულის ჩამდენი პირები არ გამოუვლენიათ.

---

[17] Amnesty International. 2024. “Georgia: authorities must stop using unlawful force against peaceful protesters and ensure accountability”. ხელმისაწვდომია ბლუზე: https://www.amnesty.org/en/documents/eur56/8015/2024/en/

[18] რადიო თავისუფლება. 2024. „„აგენტების კანონის“ მოწინააღმდეგეებს ტელეფონზე ურეკავენ და აგინებენ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/32936788.html

[19] რადიო თავისუფლება. 2024. „ზარი 11 წლის ლილესთან, 16 წლის კესოსთან, 13 წლის გოგოსთან, 10 წლის ბიჭთან - რატომ რეკავენ ბავშვებთან?“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/RubEn

[20] აი ფაქტი. 2024. რის ფასად მივიღეთ “რუსული კანონი” – დაკითხვები, ცემა, მუქარის ზარები. ხელმისაწვდომია ლინკზე: https://shorturl.at/xmIBz

[21] ინტერპრესნიუსი. 2024. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური - მუქარის შემცველი ზარები მოქალაქეებთან არააქტიური სატელეფონო ნომრებიდან განხორციელდა, რისთვისაც გაყალბების სისტემა გამოიყენეს - საქმე პროკურატურას გადაეგზავნა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/n25pW

გარდა სატელეფონო ზარებისა, საპროტესტო აქციებში მონაწილე პირებმა შეურაცხყოფისა თუ მუქარის შემცველი გზავნილები მათ საცხოვრებელ სახლებთან, ოფისებთან თუ კერძო ავტომობილებზე გაკეთებული წარწერებითაც მიიღეს[22].

მუქარისა და შეურაცხყოფის ორგანიზებული ფაქტების გარდა, აღსანიშნავია ძალადობის შემთხვევებიც, რომლებიც, ოპოზიციური პარტიების, მედიის ნაწილისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებისა თუ ჯგუფების მიერ იყო განხორციელებული.

მნიშვნელოვანია, რომ ხშირ შემთხვევაში ძალადობის შემთხვევებს ჰქონდა კარგად ორგანიზებული ხასიათი, რაც აღბეჭდილია შემთხვევის ადგილზე დამონტაჟებულ კამერებზეც. საგულისხმოა, რომ მოძალადეებმა იცოდნენ კონკრეტული პირის გადაადგილების დრო და მარშრუტი და აწყობდნენ ერთგვარ ჩასაფრებებს. ძალადობის შემთხვევები განხორციელდა სამოქალაქო აქტივისტების, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების, პოლიტიკოსებისა და მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში[23][24][25].

„მონაცემთა ბაზა“ - გამოხატვის უფლების შეზღუდვის მცდელობა

8 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ მმართველი პარტია ერთგვარი საჯარო ბაზის შექმნას გეგმავდა, სადაც „ძალადობაში, სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში, მუქარასა და შანტაჟში ჩართული პირების ან ამგვარ ქმედებების საჯაროდ, მათ შორის, სოციალურ ქსელში მომწონებლები“ მოხვდებოდნენ[26]. მისი განცხადებით, ეს მონაცემთა ბაზა განთავსდებოდა სპეციალურ ვებგვერდზე და იქნებოდა საჯარო და გამჭვირვალე საქართველოს მოქალაქეებისთვის. მისივე განცხადებითვე, არსებობდა შემთხვევები „როდესაც ხდებოდა ზეწოლა და შანტაჟი ადამიანებზე და მათი ოჯახის წვერებზე, რომელიც სისხლისსამართლებრივ განზომილებაში არ ჯდება, თუმცა მნიშვნელოვანია (ამ ყველაფრის) მორალური შეფასება“.

---

[22]რადიო თავისუფლება. 2024. „პოსტერები ოფისების და სახლების კედლებზე, წარწერები მანქანებზე - თბილისში სიძულვილის ახალი კამპანია დაიწყო“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/32939391.html

[23] ტაბულა. 2024. „დიმიტრი ჩიქოვანს თავს დაესხნენ და სცემეს“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tabula.ge/ge/news/717845-dimitri-chikovans-tavs-daeskhnen-stsemes

[24] რადიო თავისუფლება. 2024. „სამოქალაქო აქტივისტს ზუკა ბერძენიშვილს თავს დაესხნენ“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/32987723.html

[25]ფორმულა. 2024. „მასწავლებელ ლადო აფხაზავას თავს დაესხნენ“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://formulanews.ge/News/110677

[26] საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „შალვა პაპუაშვილი - ვიწყებთ მონაცემთა ბაზის შექმნას, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია ყველა იმ პირის შესახებ, რომელიც ძალადობასა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებშია ჩართული“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/0WOVl

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მონაცემთა ბაზა ჯერ-ჯერობით არ შექმნილა, მომავალში მსგავსი ინიციატივების განხორციელება, რა დროსაც ამგვარი ბაზის ავტორები პირადი შეხედულებებით გადაწყვეტენ, თუ ვინ უნდა მოხვდეს ამგვარ საჯარო პორტალზე, ატარებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აშკარა საფრთხეს, რომელიც შესაძლოა მიმართული იყოს ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფებისა და მოქალაქეების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარის წინააღმდეგ. მსგავსი ინიციატივების განხორციელება, რა დროსაც ადამიანები, მათ შორის, სოციალურ ქსელებში საკუთარი რეაქციების გამოხატვის გამო მოხვდებიან ერთგვარ მონაცემთა ბაზაში, ასევე ატარებს განსხვავებული მოსაზრებების გამო მოქალაქეთა დისკრედიტაციისა და სტიგმატიზაციის მცდელობის საფრთხესაც.

რუსული კანონის საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება

მმართველი გუნდის მიერ მომზადებულ და მხარდაჭერილ რუსულ კანონზე საკუთარი გადაუდებელი სამართლებრივი შეფასება გაავრცელა ვენეციის კომისიამ (ოფიციალურად: *ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად*)[27]. ამ შეფასების თანახმად, კომისია „მტკიცედ ურჩევს“ ხელისუფლებას, რომ მიღებული კანონი „უცხოეთის გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ გააუქმოს, რადგან მას ფუნდამენტური ხარვეზები აქვს.

კომისიის დასკვნის თანახმად, შემოთავაზებული კანონი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ოთხ მუხლს, მათ შორის:

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას;
- გამოხატვის თავისუფლებას;
- შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას;
- დისკრიმინაციისგან დაცვის უფლებას.

გარდა ამისა, დასკვნაში აღნიშნულია, რომ კანონი ეწინააღმდეგება გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის ისეთ მუხლებს, როგორებიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ასევე, გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებებს. შეფასების მიხედვით, კანონი ვერ აკმაყოფილებს კანონიერების, ლეგიტიმურობის, პროპორციულობისა და აუცილებლობის მოთხოვნებს.

შეფასებაში ასევე ხაზგასმულია, რომ არსებობს არაერთი არსებითი განსხვავება საქართველოს კანონსა და შეერთებული შტატების FARA-ს, ასევე, ავსტრალიისა და ისრაელის მსგავს საკანონმდებლო აქტებს შორის.

[27] ვენეციის კომისიის გადაუდებელი მოსაზრება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)020-e

მმართველმა გუნდმა ვენეციის კომისიის შენიშვნები არ გაითვალისწინა და საპასუხოდ განაცხადა, რომ ეს დასკვნა გაჯერებულია პოლიტიკური გზავნილებით, მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას და შეიცავს მთელ რიგ ფაქტობრივ უზუსტობებს[28].

მსგავსად ვენეციის კომისიისა, კანონის გაუქმების საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ მომზადებული სამართლებრივი შეფასებაც[29]. დასკვნის მიხედვით, კანონი „შეიცავს სერიოზულ ხარვეზებს, რაც მას შეუთავსებელს ხდის ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან“.

შეფასების თანახმად, კანონის არსებობის საჭიროების დასაბუთებისას მთავარი აქცენტი „უცხოურ გავლენასა“ და „გამჭვირვალობაზე“ კეთდება. დოკუმენტის მიხედვით, „უცხოური გავლენის“ საპასუხოდ, შესაძლებელი იყო შედარებით ნაკლებად შეურაცხმყოფელი საშუალებების გამოყენება, როგორიც შეიძლება ყოფილიყო პროფესიული ლობიზმისა თუ საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მომხდენი უცხოური ინტერესების გამოხატვის მკაფიოდ გაწერილი რეგულირება, რაც, თავის მხრივ, ცხადად განსხვავდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ყოველდღიური აქტივობებისგან. დოკუმენტი ასევე აღნიშნავს, რომ „გამჭვირვალობა“ არის და იყო მთავარი დასაბუთება მსგავსი კანონების მიღებისთვის, შესწორებებისთვის ან ინიციირებისთვის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთის ფედერაცია, უნგრეთი და ყირგიზეთი, ასევე ბოსნია და ჰერცეგოვინას შემადგენლობაში შემავალი სერბთა რესპუბლიკა. შეფასების მიხედვით, ზოგადი მითითებები სამოქალაქო სექტორის დაფინანსების კანონიერების ირგვლივ საჯარო ინტერესის შესახებ, არასამთავრობო სექტორის მხრიდან დანაშაულებში, მათ შორის კორუფციასა და ფულის გათეთრებაში ჩართვის რისკების ანალიზის, ასევე ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული კონკრეტული, კარგად დასაბუთებული საფრთხეების ანალიზის გარეშე, ვერ იქნება ლეგიტიმური საფუძველი გაერთიანების უფლების შეზღუდვისთვის.

ამ შეფასების თანახმად, კანონის განმარტებითი ბარათიდან არ ირკვევა, რომ კანონის ავტორებმა არ განახორციელეს არსებული კანონმდებლობის ადეკვატური შესწავლა, რათა დაედგინათ, შესაძლებელი იყო თუ არა მათი წინაშე არსებული მიზნების არსებული კანონმდებლობით, ან ამ კანონმდებლობის, მათ შორის ფინანსური თუ საგადასახადო კანონების გაძლიერებით მიღება. გარდა ამისა, ODIHR-ის შეფასების თანახმად, კანონის განმარტებითი ბარათი არ მოიცავს კანონის გავლენის შეფასებას, მათ შორის, არ აანალიზებს შესაძლო გავლენას გაერთიანების, პრესისა და გამოხატვის უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით.

მსგავსად ვენეციის კომისიის შეფასებისა, ODIHR-ის მიერ მომზადებული დოკუმენტიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კანონის განმარტებით ბარათში მოხმობილი მაგალითები, მათ შორის აშშ-ის „FARA“ და ავსტრალიის უცხოური გავლენის

---

[28] რადიო თავისუფლება. 2024. როგორ „დააწერინეს“ ვენეციის კომისიას კრიტიკული დასკვნა „აგენტების კანონზე“ ხელმისაწვდომია ბმულზე:https://shorturl.at/BLCP1

[29] ეუთო/ODIHR-ის მიერ მომზადებული სამართლებრივი შეფასება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.osce.org/files/f/documents/b/d/569922.pdf

გამჭვირვალობის სქემის აქტი, ფუნდამენტურად განსხვავდება ქართული კანონის მიზნებისა და მოქმედების სფეროსგან.

ანალიზი ყურადღებას ამახვილებს დაფინანსების წყაროს წარმოშობის მიხედვით ორგანიზაციებისადმი დისკრიმინაციული მიდგომის არსებობაზეც. დოკუმენტის მიხედვით, კონკრეტული კატეგორიის ორგანიზაციებისა თუ ასოციაციების წინააღმდეგ დაფინანსების წყაროს მიხედვით დისკრიმინაციული მოპყრობა უნდა განიხილებოდეს სექტორული თანასწორობის პერსპექტივიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ წესები, რომლებიც მიემართება ამ ასოციაციებს, არ უნდა იყოს იმაზე მეტად მკაცრი, ვიდრე ის წესები, რომლებიც ზოგადად მიემართება კომერციულ დაწესებულებებსა თუ ბიზნესს. ODIHR-ის თანახმად, გამომდინარე იქედან, რომ ამ კანონის შემთხვევაში ადეკვატურად ვერ საბუთდება დაფინანსების წყაროს მიხედვით განსხვავებული მოპყრობის საჭიროება, კანონი შესაძლოა დისკრიმინაციულად განიხილებოდეს.

შეფასებაში ასევე ნათქვამია, რომ უცხოური წყაროდან დაფინანსების მიმღები ორგანიზაციებისთვის ახალი ვალდებულებების დაწესება ქმნის ერთგვარ შეზღუდვებს გაერთიანების უფლების რეალიზებისთვის, ხოლო უცხოური დაფინანსების გამჟღავნება ამ ორგანიზაციებისთვის ატარებს სტიგმატიზაციის საფრთხეს.

ანალიზში ასევე აღნიშნულია, რომ ტერმინი „უცხოური ძალა“ მისი ფართო განმარტებიდან გამომდინარე, ასევე მოიაზრებს საერთაშორისო და მთავრობათაშორის ორგანიზაციებსაც, მათ შორის იმათ, რომლის წევრი და კონტრიბუტორი საქართველოცაა. შესაბამისად, აღნიშნული კანონით, შესაძლოა ეს ორგანიზაციებიც უცხოურ ძალად მოიაზრებოდეს, ხოლო ის ორგანიზაციები, რომლებიც მათგან (მაგალითად გაეროსგან) იღებენ დაფინანსებას, განხილულნი იქნებიან, როგორც უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელნი.

დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოს უფლება, მონიტორინგის ფარგლებში ნებისმიერი კერძო ან იურიდიული პირისგან მოითხოვოს ნებისმიერი პერსონალური თუ კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია ეთნიკური წარმოშობის, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვაგვარი რწმენების შესახებ, არის გადაჭარბებული და არღვევს კონფიდენციალურობის უფლებას.

მმართველმა გუნდმა არც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მომზადებული დასკვნა გაითვალისწინა. პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, დასკვნა ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ჯერემი მაკბრაიდმა მოამზადა[30]. ODIHR-ის განცხადებით, შეფასება მომზადდა ორგანიზაციის შიდა ექსპერტების მიერ და მასში არ ყოფილა ჩართული ჯერემი მაკბრაიდი[31].

---

[30]საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „შალვა პაპუაშვილი - ვვარაუდობ, რომ ეუთო/ოდირის დასკვნის მთავარი ავტორი არის ადამიანი, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში იყო სააკაშვილის ადვოკატი, ხომ არ შეიძლება ამდენი დამთხვევა?!“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/uMpF3

[31] ნეტგაზეთი. 2024. „კანონზე დასკვნა ჯერემი მაკბრაიდს არ დაუწერია – ODIHR-ის პასუხი “ოცნებას”“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/life/725026/

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესაძლო დატოვება

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) 7 მაისს საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა[32], რომ წარმოედგინა კონკრეტული გეგმა და 6-თვიანი განრიგი, თუ როგორ გეგმავდა არსებული გამოწვევების გამკლავებას, მათ შორის:

- დისკრიმინაციული კანონმდებლობის, მათ შორის უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის უკან გაწვევას/გაუქმებას;
- გაერთიანებისა და პრესის თავისუფლების დაცვა;
- ინფორმაციაზე წვდომის გაძლიერება.

მთავრობას გეგმისა და განრიგის წარმოდგენისთვის 1-თვიანი ვადა განესაზღვრა, რომელიც 6 ივნისს ამოიწურა.

OGP-ის თანახმად, საქართველოს მთავრობას ასევე უნდა გაეთვალისწინებინა მესამე მხარეთა რეკომენდაციები, მაგალითად როგორიცაა ევროკომისიის მიერ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველო არ წარმოადგენს აღნიშნულ სამოქმედო გეგმას, ეს შესაძლოა დასრულდეს OGP-ში ქვეყნის წევრობის შეჩერებით, მანამ სანამ აღნიშნული საკითხები არ გადაწყდება. ასევე აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ გაგრძელდება OGP-ის ღირებულებებთან და პრინციპებთან შეუთავსებლობა, ამან შესაძლოა საერთოდ წევრობის საკითხი დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლების გაცხადებული რიტორიკა გამორიცხავს „რუსული კანონის“ გაუქმებას, საქართველოს OGP-ში წევრობის შესაძლო შეჩერება ან შეწყვეტა მართლაც მნიშვნელოვან საფრთხედ შეიძლება ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ „რუსული კანონის“ ღია მმართველობის პარტნიორობის ძირითად ღირებულებებთან და პრინციპებთან შეუთავსებლობის მოტივით, საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო უკვე დატოვა წევრმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა[33].

OGP არის ერთგვარი პარტნიორობის საერთაშორისო ფორმატი, სადაც სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება ერთად შეიმუშაონ და მოგვიანებით განახორციელონ ისეთი სამოქმედო გეგმები, რომლებიც საბოლოოდ მთავრობას უფრო მეტად ინკლუზიურსა და ანგარიშვალდებულს გახდის. აღნიშნული ფორმატი ხელს უწყობს გამჭვირვალობის ზრდას, მოქალაქეთა პროცესებში ჩართვასა და ამ გზით მათ გაძლიერებას, კორუფციასთან ბრძოლასა და მმართველობის გამტკიცებას. გამომდინარე

[32] OGP. 2024. government of Georgia Urged to Follow Open Government Recommendations to Address Legislation Restricting Civil Society. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/RfNNX

[33] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2024. „არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება ღია მმართველობა საქართველოს (OGP) საბჭოს დატოვების შესახებ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/ky5Ak

აქედან, აღნიშნულ ფორმატზე უარის თქმა პრაქტიკულად სრულად გააქრობს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

სანქციების მოლოდინი და ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერება

რუსული კანონის მიღების პროცესის პარალელურად, მაისში საქართველოს ეწვია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, ჯიმ ო'ბრაიენი, რომელმაც ქართულ მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ თუკი შეიცვლება სტრატეგიული პარტნიორობა და აშშ მოაზრებული იქნება მოწინააღმდეგედ და არა მოკავშირედ, მაშინ ურთიერთობები გადაიხედებოდა და აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. მისივე განცხადებით, თუ კანონი წინ წაიწევდა - ევროკავშირის ნორმებთან შეუსაბამოდ, - და თუ გაგრძელდა „დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრა", - თუ მშვიდობიან დემონსტრანტებზე იძალადებენ, აშშ შეზღუდვებს დააწესებდა, რომელიც მიმართული იქნებოდა ამ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირებისა და მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგ[34].

საქართველოს პარლამენტის მიერ კანონის მიღების შემდეგ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს რამდენიმე ათეულ მოქალაქეს სავიზო შეზღუდვები დაუწესა, თუმცა ამ პირების ვინაობა ამერიკული მხარის მხრიდან არ გამჟღავნებულა. სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის, მეთიუ მილერის განცხადებით, შეზღუდვები დაუწესდა „ქართული ოცნების" წევრებს, პარლამენტარებს, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებსა და კერძო მოქალაქეებს[35].

პარალელურად ამისა, აშშ-ის კონგრესში დარეგისტრირებულია ე.წ. Megobari act, რომელსაც უკვე დაუჭირეს მხარი წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე[36]. აღნიშნული აქტის თანახმად, ერთი მხრივ, პასუხი უნდა აგონ იმ პირებმა, რომლებიც საქართველოში „რუსული სტილის უცხო ქვეყნის აგენტების კანონის მიღებაზე ან შესაძლო ამოქმედებაზე არიან პასუხისმგებელნი", ხოლო მეორე მხრივ, ის „საქართველოს მიერ დემოკრატიული, დასავლური კურსის გამყარების შემთხვევაში" ქვეყანას გაძლიერებულ მხარდაჭერას – გაზრდილ ფინანსურ დახმარებას, გამარტივებულ სავაჭრო ხელშეკრულებებსა და სავიზო რეჟიმის შერბილებას ჰპირდება. აქტის განხილვა, სავარაუდოა, რომ სექტემბერში გაგრძელდება, მას შემდეგ, რაც კონგრესში საზაფხულო შესვენება დასრულდება.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის. იგივე ჰელსინკის კომისიის (კონგრესის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი სააგენტო) წევრებმა, 26

---

[34] რადიო თავისუფლება. ვაშინგტონის 4 მთავარი გზავნილი ჯიმ ო'ბრაიენის ვიზიტიდან. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/qUeUU

[35] ნეტგაზეთი. ვაშინგტონმა რამდენიმე ათეულ ადამიანს საქართველოში სავიზო სანქცია დაუწესა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/life/726022/

[36] პუბლიკა. 2024. „წარმომადგენელთა პალატის კომიტეტმა „MEGOBARI აქტს" მხარი დაუჭირა" ხელმისაწვდომია ბმულზე: https://publika.ge/warmomadgenelta-palatis-komitetma-megobari-aqts-mkhari-dauchira/

ივლისით დათარიღებულ წერილში აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ენტონი ბლინკენს ბიძინა ივანიშვილისა და მისი ახლო გარემოცვის მიმართ ინდივიდუალური ფინანსური სანქციების დაწესებისკენ მოუწოდეს[37].

აღსანიშნავია, რომ აშშ-მა გაურკვეველი დროით უკვე შეაჩერა საქართველოში სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი"[38], ხოლო ევროკავშირმა შეაჩერა საქართველოს თავდაცვის ძალების 30-მილიონიანი დახმარება[39]. სამხედრო თანამშრომლობა შეაჩერა დანიამაც, რომლის ბიუჯეტიც 28 მილიონი ლარი იყო[40]. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს, გერმანიის ელჩის, პიტერ ფიშერის განცხადებით, ბერლინმა დაიწყო თბილისთან ურთიერთობების გადახედვის ყოვლისმომცველი რეჟიმი[41].

მისივე განცხადებით, ევროპულმა საბჭომ, რომელიც 27 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურისგან შედგება, 27 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის პოლიტიკის გამო საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერების შესახებ[42] და ამჟამად ეს პროცესი შეჩერებულია.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შეჩერება, რაზეც პასუხისმგებელი საქართველოს ხელისუფლებაა, ბუნებრივია კიდევ უფრო მეტად აუარესებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოსაც, რადგან ამ სასიცოცხლო გარემოს მედეგობა სწორედ იმ პრინციპების დაცვითა და გათვალისწინებითაა შესაძლებელი, რასაც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია მოიაზრებს.

რეგისტრაციის ვალდებულება - რას გეგმავს სექტორი

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის, იგივე „რუსული კანონის" თანახმად, სამოქალაქო საზოგადოებისა (არასამეწარმეო იურიდიული პირები) და ის მედია ორგანიზაციები, რომლებიც დაფინანსების 20 ან მეტს პროცენტს უცხოური წყაროებიდან იღებენ, სპეციალურ რეესტრში უნდა დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელნი".

---

[37] მთავარი არხი. 2024. „ჰელსინკის კომისია ბლინკენს ივანიშვილის წინააღმდეგ ინდივიდუალური ფინანსური სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებს". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/N4YbX

[38] ნეტგაზეთი. 2024. „აშშ გაურკვეველი ვადით აჩერებს სამხედრო წვრთნებს „ღირსეული პარტნიორი"" ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/life/730470/

[39] ნეტგაზეთი. 2024. „ევროკავშირმა შეაჩერა საქართველოს თავდაცვის ძალების დახმარება EPF-დან" ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/life/730738/

[40] ნეტგაზეთი. 2024. „დანიამ საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობა შეაჩერა – ბიუჯეტი 28 მლნ ლარი იყო". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/life/733423/

[41] ნეტგაზეთი. 2024 „გერმანია საქართველოსთან ურთიერთობების ყოვლისმომცველი გადახედვის რეჟიმშია" ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/news/730902/

[42] გერმანიის ელჩის პეტერ ფიშერის კომენტარი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.facebook.com/photo/?fbid=887067973454997&set=a.643439887817808

ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე, 150-მდე ორგანიზაციამ საჯაროდ განაცხადა, რომ ისინი არ დარეგისტრირდებოდნენ „ღირსების შემლახავ რეესტრში“[43]. ორგანიზაციათა ჩამონათვალში არის როგორც ცენტრალურ დონეზე მომუშავე ე.წ. დიდი ორგანიზაციები, ასევე ადგილობრივ დონეზე, მომსახურების გამწევი შედარებით მცირე ორგანიზაციები.

იმ ორგანიზაციათა თანახმად, რომლებიც არ გეგმავენ ასეთად დარეგისტრირებას, კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეუთავსებელია დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსთვის.

„რეგისტრაცია რეესტრში, რომელიც საქართველოს და ქართული საზოგადოების სასიკეთოდ განხორციელებულ საქმიანობას უცხოური ძალის ინტერესების გატარებად აცხადებს, და იწვევს ორგანიზაციის სტიგმატიზებას, შეუთავსებელია საიას მისიასთან, მიზნებთან, პრინციპებთან და წარმოადგენს ორგანიზაციის დამაზიანებელ ქმედებას“, - წერია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრების ტექსტში, რომლითაც ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ აღნიშნულ რეესტრში არ დარეგისტრირდება. ამ გადაწყვეტილებას მხარი ორგანიზაციის კრებაზე დამსწრე წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა[44].

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვის მე-3 გამოცემის მომზადების ფარგლებში, ავტორთა ჯგუფმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, მათ შორის ადგილობრივ დონეზე არსებულ, ასევე მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების მიმართულებით მომუშავე და მომსახურების გამცემ ორგანიზაციებთან დამატებით სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს დროს მოპოვებული მონაცემები თავისი ხასიათით არ არის რეპრეზენტატული, ეს ინფორმაცია მაინც მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს გავიგოთ, თუ რა გამოწვევები შექმნა აღნიშნულმა კანონმა ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში და რა განწყობები, გეგმები თუ სტრატეგიები აქვთ მათ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად“ დარეგისტრირების ვალდებულების პირობებში მუშაობის გაგრძელებისთვის.

ინტერვიუების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციების უმეტესობა ამგვარი რეგისტრაციის ვალდებულებას ღირსების შემლახავ და სტიგმატიზებისკენ მიმართულ ქმედებად მოიაზრებს. გარდა ამისა, ვალდებულებამ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად“ რეგისტრაციის შესახებ, მიუხედავად იმისა, ორგანიზაცია გეგმავს თუ არა რეგისტრაციას, მაინც წარმოშვა მთელი რიგი სირთულეები, რაც, მათ შორის, ამ ორგანიზაციების მუშაობაზეც ნეგატიურად აისახება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას და პარალელურად აქვთ აღებული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე.

---

[43] ნეტგაზეთი. 2024. „არ დავრეგისტრირდებით ღირსების შემლახავ რეესტრში — არასამთავრობოები და მედიები“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/life/719770/

[44] საია. 2024. „საიას საერთო კრების ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/p2jkY

„ჩვენ გვაქვს სამინისტროსთან კონტრაქტი [მომსახურების გაწევაზე], რომლის პირობებიც „კაბალური“ გახლავთ. იგულისხმება, რომ უნდა გადაიხადო თითოეულ შეუსრულებელ პირობაზე დიდი საპირგასამტეხლო. ეს არის ძალიან მძიმე სტაგნაციური მდგომარეობა, რომელიც აისახება ორგანიზაციაზე და თანამშრომლებზე. ყველაზე ადვილი იქნებოდა, რომ არ გვქონდეს პასუხისმგებლობები და გამოვხატოთ პროტესტი[არ დარეგისტრირების გზით]“, - აცხადებს ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქალაქეებს უწევს მომსახურებას.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ისიც, რომ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არ აპირებენ რეგისტრაციას, თუმცა გეგმავენ საკუთარი საქმიანობის კვლავ გაგრძელებას, ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენდა შესაძლო ჯარიმებისთვის თანხების მობილიზების საკითხი.

„ჯარიმის გადახდის რესურსი ორგანიზაციას [ამჟამად] არ აქვს, თუ დამფუძნებლები, გამგეობის წევრები არ გადავწყვეტთ, რომ ჩვენი პირადი რესურსი შევწიროთ ორგანიზაციას. ვგეგმავთ საგანგებო გრანტებს [Emergency grants] მივმართოთ და რამდენიმე მათგანი უკვე განსაზღვრული გვაქვს“,-აცხადებს ერთ-ერთი კვლევითი ორგანიზაციის წარმომადგენელი ინტერვიუსას.

რიგ შემთხვევებში ორგანიზაციათა ნაწილს მიაჩნია, რომ რუსული კანონის პირობების ნებაყოფლობითი შესრულებით მუშაობა სრულად ცვლის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სამუშაო ღირებულებებს.

„კანონში განსაზღვრული მუხლები, მათ შორის პერსონალური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, არ შესაბამება იმ ღირებულებებს, რომელთაც ჩვენ ვემსახურებით. თუ ჩვენ ღირებულებების დონეზე უნდა შევცვალოთ ჩვენი საქმიანობები და მთლიანად უნდა ამოვაყირაოთ ის, რასაც აქამდე ვაკეთებდით, ასეთ პირობებში სამოქალაქო სექტორის არსებობის მიზეზს ვერ ვხედავ. ჩვენ განსაკუთრებული იმიტომ ვართ, რომ მიდგომებია გაცილებით მოქნილი და თუ ეს ვერ გავაკეთეთ, რა აზრი აქვს არსებობას“, - აცხადებს მომსახურების მიმწოდებელი ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

საგულისხმოა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ცვლილებებს ნეგატიური გავლენა ექნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სასიცოცხლო გარემოზე.

აღსანიშნავია, რომ კანონის მოთხოვნები ვრცელდება ე.წ. „დევნილობაში მყოფ“ ორგანიზაციებზეც, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ ბელარუსულ, აზერბაიჯანულ, რუსულ... ორგანიზაციებს, თუმცა რეგისტრირებულნი არიან საქართველოში. ამგვარი ორგანიზაციების ნაწილის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ, შესაძლოა, კიდევ ერთხელ მოუწიოთ საქმიანობის სხვა ქვეყანაში გადატანა.

საკონსტუტიციო დავები

კანონის მიღების შემდეგ, პოლიტიკურ წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში გააქტიურდა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის შესახებ დისკუსია. 30 მაისს ქართულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ნაწილმა განაცხადა, რომ

ამზადებდნენ საკონსტიტუციო სარჩელს სასამართლოში წარსადგენად[45]. საბოლოოდ, ივლისში სასამართლოში სამი სხვადასხვა სარჩელი შევიდა, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის სარჩელი, რომლითაც მან სასამართლოს 15 ივლისს მიმართა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო სარჩელი, რომლის შესახებაც ცნობილი 17 ივლისს გახდა და ოპოზიციონერი დეპუტატების საერთო სარჩელი, რომელსაც ხელს 38 დეპუტატი აწერს.

პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სარჩელის თანახმად, რომელიც სასამართლომ უკვე მიიღო წარმოებაში, აღნიშნული კანონი არაკონსტიტუციურია და ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს.

სარჩელით ასევე გასაჩივრებულია კანონის მთელი რიგი ნორმები, რომლითაც ირღვევა კონსტიტუციით გარანტირებული მთელი რიგი ძირითადი უფლებები. პრეზიდენტი ამ სარჩელით ითხოვს აღნიშნული კანონის მოქმედების შეჩერებას და მის საბოლოო გაუქმებას[46].

პრეზიდენტის სარჩელი პრეცედენტულია, რადგან:

- ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა;
- საკონსტიტუციო სასამართლოში ამ დრომდე მოსამართლეებს არასდროს უმსჯელიათ კონსტიტუციის 78-ე მუხლის (ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია) დარღვევაზე.

მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ორგანიზაციების სარჩელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს კანონი ლახავს თითოეული ადამიანის უფლებას, გაერთიანდეს თანამოაზრეებთან ერთად საზოგადოდ სასიკეთო საქმის საკეთებლად და სხვა ადამიანების დასახმარებლად. სარჩელის მიხედვით, რუსული კანონის მიღებით ხელისუფლება მტრულ და ღირსების შემლახავ გარემოს ქმნის, რითიც გაერთიანების, გამოხატვისა და სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას საფრთხედ აცხადებს.

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ორგანიზაციები სარჩელთან ერთად, დროებითი ღონისძიების სახით, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონის არაკონსტიტუციური ნორმების ამოქმედების შეჩერებასაც მოითხოვენ.

ოპოზიციონერი დეპუტატების სარჩელის შესახებ ცნობილი 29 ივლისს გახდა. დეპუტატები საკონსტიტუციო სასამართლოსგან „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის კონსტიტუციის 22-ე (გაერთიანების თავისუფლება) და 78-ე (ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია) მუხლებთან შეუსაბამობის დადასტურებასა და მის გაუქმებას

[45] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/YUZTN

[46] პრეზიდენტი სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს. 2024. პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/aKgEQ

მოითხოვენ. მათივე მოთხოვნაა, სასამართლომ მიიღოს დროებითი მექანიზმი და შეაჩეროს რუსული კანონის ამოქმედება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე[47].

კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ დროის ათვლა საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან იწყება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადის არაუმეტეს 2 თვით გაგრძელება შეუძლია. საგულისხმოა, რომ ამ დროის ამოწურვა ავტომატურად არ ნიშნავს სასამართლოს მიერ წარდგენილ სარჩელზე ან წარდგინებაზე გადაწყვეტილების გამოტანას, რადგან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის ვადა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

საპარლამენტო არჩევნები და პოლიტიკური პოლარიზაცია

ქვეყანაში ნარჩუნდება მაღალი პოლიტიკური პოლარიზაცია და მტრული რიტორიკა, რომელიც განსაკუთრებით გაღრმავდა და გააქტიურდა "რუსული კანონის" მეორედ ინიციირების შემდეგ.

მმართველმა პარტიამ, ისევე როგორც ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა, პრაქტიკულად უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია. კამპანიის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას, პარტიის დამფუძნებელმა და ამჟამად საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკურ ოპონენტები, მათ შორის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, კიდევ ერთხელ დაადანაშაულა "გლობალურ ომის პარტიასთან" თანამშრომლობაში. მისი განცხადებით, პოლიტიკური ოპონენტები რეალურად "აგენტურას", "უსამშობლო ხალხსა" და "კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას" წარმოადგენენ, მანამდე კი განაცხადა, რომ ამ არჩევნებით ქვეყანაში "აგენტურა" და "ლიბერალური ფაშიზმი" უნდა დასრულდეს[48].

ღონისძიებამდე რამდენიმე დღით ადრე, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ მიხეილ სარჯველაძესთან დაკავშირებული ინციდენტის შესახებ საუბრისას განაცხადა, რომ ამ არჩევნებით ქვეყანაში "ლიბერალური ფაშიზმი" დამარცხდება, ხოლო მომდევნო, 2025 წელი ქვეყნის, საზოგადოებისა სრულად გათავისუფლების წელი უნდა იყოს[49].

---

[47] პუბლიკა. 2024. „საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა რუსული კანონის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/eVSyq

[48]Civil.Ge 2024. “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო კამპანია ბიძინა ივანიშვილმა “გლობალური ომის პარტიის” კონსპირაციაზე საუბრით გახსნა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/616554

[49]საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „ირაკლი კობახიძე - 2024 წლის 26 ოქტომბერს დამარცხდება ლიბერალური ფაშიზმი საქართველოში, 2025 წელი უნდა იყოს ლიბერალური ფაშიზმისგან სრულად გათავისუფლების წელიწადი“ ხელმისაწვდომია ბმლუზე: https://shorturl.at/rlxos

მოახლოებული არჩევნების პარალელურად, რომელიც 26 ოქტომბერს გაიმართება, დაკვირვებადია, რომ კვლავ ნარჩუნდება პოლარიზაციისა და მტრული რიტორიკის მაღალი დონე, რაც მხოლოდ აზიანებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სასიცოცხლო გარემოს, რადგან ასეთ დაპირისპირებულ და მკვეთრად პოლარიზებულ ვითარებაში არსებობს საფრთხე სსო-თაგან მომდინარე ნებისმიერი განსხვავებული ან კრიტიკული აზრი, მთავრობის მიერ, "აგენტობად" ჩაითვალოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსგავსი კონოტაციის ტერმინი - უცხოური ძალის ინტერესების გამტარი ორგანიზაცია - კანონითაცაა გათვალისწინებული. პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში სსო-თა წარმოჩენა, როგორც რომელიმე პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენლები, რისი საფრთხეც დიდია, საბოლოოდ გაანადგურებს სივრცეს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობისთვის, ასევე გაართულებს ამ ორგანიზაციებისთვის დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და მოახდენს მათ სტიგმატიზაციას.

პოლარიზაციისა და მტრული რიტორიკის მაღალი დონე ასევე ართულებს საპარლამენტო არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიების მუშაობის პროცესს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი გეგმავს, რომ მოახლოებულ არჩევნებს დააკვირდეს.

სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

„რუსული კანონის“ მიღების პროცედურების პარალელურად, „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ კიდევ აპრილში ეკონომიკური სარგებლის მიღების მოტივით, დაჩქარებული წესით შეიტანა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც უცხოური საწარმოს ყველა აქტივის (მათ შორის, წილის/აქციის) საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის შემთხვევაში, კომპანია საშემოსავლო და მოგების, ასევე იმპორტის გადასახადისგან ერთჯერადად, 2028 წლამდე გათავისუფლდება.

პრეზიდენტმა აღნიშნულ ცვლილებებს, რომელიც საზოგადოებაში ცნობილი გახდა, როგორც „ოფშორების კანონი“, ვეტო 3 მაისს დაადო, რა დროსაც აღნიშნა, რომ შემოთავაზებული ცვლილებები სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების შემცველი იყო და არ შეიძლებოდა დაჩქარებული წესით მიღებულიყო. საგულისხმოა, რომ ეკონომიკის ექსპერტთა ნაწილი შიშობს, რომ „ფულის გადმოტანისას“ ოფშორული კომპანიებისთვის გაუქმებული გადასახადებით „ფულის გათეთრების” რისკი იზრდება. პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო 29 მაისს, რუსული კანონზე ვეტოს დაძლევის მეორე დღეს დაძლია[50].

მაისში პარლამენტმა პრეზიდენტის კიდევ ერთი ვეტო დაძლია[51], რომელიც საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების შედეგად ქალი დეპუტატებისთვის გენდერულ კვოტების გაუქმებას ითვალისწინებდა. პრეზიდენტის თანახმად, ქალთა კვოტირების სისტემის გაუქმება „წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს ევროპულ გზასთან“, რადგან, მისივე

[50] რადიო თავისუფლება. 2024 „პარლამენტმა „ოფშორების კანონზე“ პრეზიდენტის ვეტო დაძლია“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/32970607.html

[51] Civil.ge. 2024. „პარლამენტმა გენდერული კვოტების გაუქმებაზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/607551

განცხადებით, რადგან გენდერული კვოტების საკითხი ევროკომისიის მიერ დაწესებული 12 პუნქტიანი გეგმის მე-9 პუნქტის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც ევროკომისიამ შესრულებულად ჩათვალა[52]. სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, ეუთო/ოდირმა სამართლებრივი დასკვნა მოამზადა გენდერული კვოტების გაუქმებასთან დაკავშირებულ ორგანულ კანონებზე, სადაც უარყოფითად შეფასდა ცვლილებები და პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ ჩაითვალა[53].

მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტმა 27 ივნისს „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი თანმდევ კანონპროექტთან ერთად პირველი მოსმენით მიიღო[54]. ერთი დღით ადრე ვენეციის კომისიამ „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკონსტიტუციო კანონპროექტთან დაკავშირებით მოსაზრება გამოაქვეყნა[55], სადაც მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას „მთლიანად გადახედოს ამ საკანონმდებლო წინადადებას და არ გააგრძელოს მისი მიღება“ ან, თუ გააგრძელებს მის მიღებას, ამოიღოს/შეცვალოს ზოგიერთი მუხლი ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ლგბტი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობა.

---

[52] Civil.ge. 2024 „პრეზიდენტმა ქალთა კვოტირების გაუქმების კანონებს ვეტო დაადო“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/600100

[53] საქართველოს სახალხო დამცველი. 2024. „ეუთო/ოდირმა გენდერული კვოტების გაუქმებასთან დაკავშირებით დასკვნა გამოაქვეყნა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/eutoodirma-genderuli-kvotebis-gaukmebastan-dakavshirebit-daskvna-gamoakveqna

[54] Civil.ge. 2024. „პარლამენტმა ანტი-ლგბტ კანონმდებლობა პირველი მოსმენით მიიღო“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/614520

[55] Venice Commission. 2024. “Georgia - Opinion on the draft constitutional law on Protecting Family Values and Minors, adopted by the Venice Commission at its 139th Plenary Session (Venice, 21-22 June 2024). ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e